სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

გ. ფანჯიკიძის ქ.N1ᵃ
0160, თბილისი, საქართველო
+995 32 2 200 220
info@emis.ge

12/06/2024

MES 5 24 0000651561

მოქალაქე ელენე ფანჩვიძეს
ელ ფოსტა: foi+request-3036-d36d886d@askgov.ge

გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო საგანმანათლებლო სერვისის მიწოდების პროცესში ხელმძღვანელობს მოსწავლეების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებით ანუ განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ხორციელდება მათი საგანმანათლებლო საჭიროებიდან გამომდინარე. ,,ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის 41-ე მუხლის შესაბამისად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა მოსწავლე, რომელსაც აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები, ვერ ძლევს შესაბამისი კლასისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს ან/და საჭიროებს ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციას/გაფართოებას, გარემოს ადაპტაციას, ალტერნატიულ სასწავლო გეგმას ან/და სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების მიხედვით, მიმდინარე პერიოდში საჯარო და კერძო სკოლებში მულტიდისციპლინური დასკვნის საფუძველზე იდენტიფიცირებულია 1915 აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლე. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებიდან გამომდინარე მათ შეუძლიათ მიიღონ სპეციალური მასწავლებლის, ფსიქოლოგის, სხვა დამატებითი სპეციალისტების მომსახურება, ასევე საჭიროებიდან გამომდინარე ინდივიდუალური მუშაობა რესურსოთახში.

ასევე „ეროვნულ სასწავლო გეგმის“ მიხედვით ალტერნატიული სასწავლო გეგმა განკუთვნილია ღრმა და მძიმე განვითარების შეფერხების, აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეებისათის.

შესაბამისად, ნებისმიერ მოსწავლეს, მათ შორის აუტიზტური სპექტრის მქონე მოსწავლეებს შეუძლია ისარგებლოს იმ მხარდამჭერი ღონისძიებებით, რომელიც საჭიროა მათი განათლების პროცესის უზრუნველსაყოფად.

პატივისცემით,

სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
სისტემის უფროსი
ბერიძე დიმიტრი